

579 / 2  
1989

ISSN 0132-5065

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი



### ჩემო პატარა მეგობრებო, ბავშვებო!

პირველი სექტემბერი დიდი სიხარულია ჩვენს ცხოვრებაში — მასწავლებლებისა და მოსწავლეების ცხოვრებაში. აბა, დაკვირდით, რამდენჯეაარი სიამოვნება ახლავს პირველ სექტემბერს! გაცოცხლდება და ახმაურდება მიტოვებული სკოლის შენობა; გახალისდება სკოლის ოთახებისა და დერეფნების დაფრუებული კედლები, მოწყენილი მერჩები; ფართოდ გაიღება ჩანაწერი ფანჯრები; სკოლის ეზოში ერთდროულად გაიშლება ბევრი ყვავილი; გადმოიღვრება თქვენს პატარა გულებში დაგუბებული მეგობრობის გრძნობა, ერთმანეთის ხილვა გაგინათებთ თვალებს, გაგაცისკროვნებთ. თქვენ კვლავ შეხვდებით თქვენს მასწავლებლებს, თქვენი მომავლის შესაძირკვლეებსა და ხუროთმოძღვრებს.

საყვარელო ბავშვებო! ვილოცავთ პირველ სექტემბერს — ამ სხივმოსილსა და ლამაზ დღესასწაულს, მაგრამ მინდა შეგაგონოთ აგრეთვე, რომ ახალი სასწავლო წლის პირველი დღე სერიოზულ დავალებებსაც გთავაზობთ. ყური მიუგდით!..

— ბავშვებო, იყავით ნამდვილი მამულიშვილები! — მოგმართავთ პირველი სექტემბერი, — და ეს ნიშნავს, რომ სკოლაში მოსვლის პირველი დღიდანვე დაეწაფოთ ცოდნის წყაროს. ცოდნის სამყაროს ხომ საოცრებანი და მშვენიერებანი აქვს შემონახული თქვენთვის.

— ბავშვებო! გიყვარდეთ თქვენი სამშობლო! — მოგიწოდებთ პირველი სექტემბერი, — და ეს ნიშნავს, რომ თვალის წინ იყავთ უნდა გაუფრთხილდეთ ყველაფერს: სკოლის შენობას, ეზოს, სახელმძღვანელოებს, ხეებს, ყვავილებს... ეს ნიშნავს გაუფრთხილდეთ ერთმანეთს, გიყვარდეთ ერთმანეთი.

— ბავშვებო, დაიცავით ქართული ერის ღირსება, — არ ცხრება პირველი სექტემბერი, — და ეს ნიშნავს, რომ მუდამ იყოთ ზრდილობიანები, მოკრძალებულები, მიმტყვებლნი, გესმოდეთ უფროს-უმცროსობის დიდებული გრძნობის ხილი და ეშხი!..

— ბავშვებო! — წამოიწყო ისევ პირველმა სექტემბერმა, მაგრამ უცებ გაისმა მონატრებული ზარის წკრიალი და საკლასო ოთახებისაკენ გიხმოთ!

...მაშ იყოს ნათელი, შინაარსიანი, მიღწევებითა და გამარჯვებებით აღსავსე ახალი, 1989-1990 სასწავლო წელი!

რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი  
ლილა კაჭარავა

# სკოლის ზარი

ლია კოხალაძე

ეზოს ბურხაურს,  
ეიენას და ხმურს,  
ერთვის სკოლის ზარი:

ნაუ...

ნაუ...

ნაუ...

მონატრებულ მარის,  
ლიკას, თეას, ზაურს,  
ესალმება ზარი:

ნაუ...

ნაუ...

ნაუ...

დასვენებამ სწრაფად,  
სწრაფად გაიქროლა,  
ზარი უხმობს ჯაბას,  
ზარი უხმობს ღოლას,  
გული ბუქროლა  
დიდს და თითისტოლას:  
— გამარჯობა, სკოლავე!  
— გამარჯობა, სკოლავე!..

19037



საქ. სსრ. კ. მარტოვის  
სახ. ნახ. რეს. აბ.  
ბაბლონი თეატრ



## ანო და მანო

ენო ბუზარაშვილი

ხევის პირას, მალღობზე, ერთი კაკალი იდგა. დიდი ხნისა იყო, ტოტებზე ხავსი მოსდებოდა და დაკოურილი ფესვებიც მთლად მიწის წემოთ ეწყო. ხანდახან ამ კაკლის ქვეშ ორი ტოლი გოგონა — ანო და მანო სახლობანას თამაშობდნენ ხოლმე. ბალახებისაგან შეკრული ცოცხით დაგვიდნენ, დაანარჩუნებდნენ იქაურობას. აგურის ნატეხებზე შედგმულ კონსერვის ქილაში სადილს გააკეთებდნენ, მერე ფესვებზე ჩამოსხდებოდნენ და გულზე მიხუტებულ ღილის თოჯინებს ნანას უმღეროდნენ, აძინებდნენ.

კაკლის ფესვებთან გრილი, უწყინარი ანწლები იდგა, ზედ ყვითელი აბრეშუმა ხეხია. საოცარი რამ იყო ეს აბრეშუმა, არც

ყლორტი, არც ფოთოლი იმას არ ვაპყნოდა, მარტო გრძელი, ძაფის სიმსო ღერო ჯეროდა და ზედ ერთმანეთის მიყოლებით წვიჩკი, წვეტიანი კოკრები ესხა. ეს კოკრები ბექდის თვალს მიაგავდნენ; როცა ვაიშლებოდნენ, მაშინ კი ჩიხტიკოპზე დასამაგრებელ ჭილაქინძისთავებს ემსგავსებოდნენ.

გოგონები ანწლებზე დახვეულ აბრეშუმას გამოწყვეტდნენ ხოლმე და თითებზე ბექდებად იკეთებდნენ, ან ყელზე გულქანდად ჩამოიკიდებდნენ.

ანოს და მანოს მაღალუწნის ბუერის ფარფარა ფოთლებიც უყვარდათ. შუიან ღღეს ძირში მოწყვეტდნენ, თავზე ქოლგად დაიდგამდნენ და თავიანთი ჭინჭილებით წყალზე მიდიოდნენ. კაკლის ფესვებთან ჭყიმებიც იდგა. რბილი, მოქნილი ჭყიმები; მისგან გრძელ, კობტა ნაწნავებს წნავდნენ, ჩითის ნახევებით ერთმანეთს თმაზე მიაბამდნენ და მკერდზე გადმოიწყობდნენ.

აჰ, როგორ უნდოდათ, რომ ნამდვილი ნაწნავები ჭქონოდათ, მაგრამ ორივეს მხოლოდ მხრებამდე სწვდებოდა თმა, მეტად არ ეზრდებოდათ.

ერთხელ ვიღაცამ ურჩია გოგონებს, თუ გინდათ, რომ გრძელი თმა გქონდეთ, შვიდმაისის წვიმას შეუშვირეთ თავი, თან სამჭერ თქვით სიმღერი: „შვიდმაისის წვიმაო, თმაო კოჭამდინაო“, და გაგზრდებთ, უეჭველად გაგზრდებთო.

სწორედ იმ წელიწადს შვიდ მაისს კარგი შხაპუნა წვიმა მოვიდა. მანო და ანო იდგნენ წვიმაში (მაშინ წვიმის წყალი საშინო არ იყო) და წკრიალა, ბავშვური ხმით, რაც შეეძლოთ გასძახოდნენ: „შვიდმაისის წვიმაო, თმაო კოჭამდინაო“.

ტყუილად კი იწვალეს გოგონებმა, სულ ტყუილად; თმა ისევ ისე მოკლე დარჩათ, ერთი გოჭივ არ მომატებიათ. თუმცა, რად უნდოდათ გრძელი თმა, ისედაც ხომ ლამაზები იყვნენ, ძალიან ლამაზები.



ამ თამაშში გაირბინა დრომ. ანო და მანო მოიზარდნენ. ჰოდა, ერთ სექტემბრის დღისა დედებმა ჩაავლეს ხელი, სკოლაში წაიყვანა და ერთ კლასში დასხეს. მეორე დღესაც ერთად წავიდნენ, მესამე დღესაც, სულ ერთად დადიოდნენ.

ანოსა და მანოს ძალიან შეუყვარდათ ხატვის გაკვეთილი. ლამაზ-ლამაზ რამეებს ხატავდნენ ხოლმე დიდ სახატავ რვეულში. სიმღერის გაკვეთილი ხომ უყვარდათ და უყვარდათ. მასწავლებელი რომელიმე ბავშვს დააწუებინებდა სიმღერას, დანარჩენებიც აჰყებოდნენ და კლასი ივსებოდა წმინდა, ლამაზი ხმებით. მაგრამ ანოსა და მანოს უველაზე უფრო ძალიან მაინც ექსკურსიაზე წასვლა უხაროდათ.

შემოდგომაზე, კარგ ამინდში, მასწავლებელი დააყენებდა მწკრივად მთელ კლასს და ტყის პირას აიყვანდა. იქ აჩვენებდა ბავშვებს, როგორ სწყდებოდა მადალი ხის კენწეროს წითელ-ყვითელი ფოთლები. ესეთი რამე წიგნშიაც ეხატა, მაგრამ ტყეში სულ სხვა იყო. ანო და მანო ძირს დაცივიწული ფოთლებიდან ყველაზე ლამაზებს ამოარჩევდნენ და გაკვეთილების ჩასანიშნად წიგნში აწყობდნენ.

მასწავლებელი ბავშვებს გაზაფხულზედაც წაიყვანდა ხოლმე ექსკურსიაზე. მაშინ კიდევ განედლებულ ნეკერზე ახლად გამოფთქილ კვირტებს და ბუჩქების ძირას თავწამოყოფილ ლურჯ იებს აჩვენებდა.

რაც გოგონებმა სკოლაში დაიწყეს სიარული, სულ შეიცვალნენ; ახლა აგურის ნატეხებზე შედგმულ კონსერვის ქილაში „სადილს“ აღარ აკეთებდნენ. აღარც ნაწნავებს წნავდნენ ჭყიმის ულორტებისაგან. როცა კაკლის ფესვებზე ჩამოსხდებოდნენ, — ან გაკვეთილს ყვებოდნენ რიგრიგობით, ან მუხლებზე გადაშლილ წიგნს ხმამაღლა კითხულობდნენ, ისე ხმამაღლა, რომ კაკალზე ჩიტები ჭიკჭიკს შეწყვეტდნენ ხოლმე, ჩუმდებოდნენ, თითქოს გოგო-

ნებს ყურს უგდებენო.

კიდევ გავიდა დრო, კარგა დიდი დრო, მაგრამ ის კაკალი დღესაც იქვე დგას. ხსენებულ ხულობით ანწლებსაც ისევ ისე ეხვევა, ყვითელი აბრეშუმა. ის გოგონები კი აღარ ჩანან კაკლის ქვეშ. დაიზარდნენ, წავიდნენ, თავ-თავიანთი გზა მოძებნეს. რაც ერთმანეთს დაშორდნენ, სად არ იყვნენ, რა არა ნახეს, ცხოვრების სიმწიფე თუ დედობისა და ბებიობის სიხარული, მაგრამ როცა სადმე ერთმანეთს შეხვდებიან, სულ პირველად მაინც თავიანთი ბავშვობა მოაგონდებათ, კინოკადრებივით გაიელვებენ მათ თვალწინ ანწლებზე დაბვეული ყვითელი აბრეშუმა, ბუერის ფარფარა ფოთლების ქოლგები, შვიდმაისის შხაპუნა წვიმა, და უცბად ორივეს ერთად ამოხდება გულიდან:

ნეტავ იმ დროს, გოგო, ნეტავ იმ დროს!..



მხატვარი ვანა ქარხული



# გაგუზრდები სპარტოპოლს

თანავიზ ჩალაუარი

მე პატარა ქართული ვარ —  
 სისხლით,  
 ხორციით,  
 რჯულით,  
 სულით,  
 ნურავინ ნუ შემაძინებს  
 ჩემი ქვეყნის  
 აღსასრულით.

ცნრავურ კულიში რომ დამლახვრონ  
 ცხრა მარტიო და  
 ცხრა აბრილით,  
 ვერ მიხილიონ მომხდურ მტერთან  
 მორჩილი და თავდასრილი.

სწავლით  
 ცოდნით,  
 სიბრძნით,  
 რწმენით,  
 და შეციურ ზართა რწკვით  
 აღგუთს ღომადა გავიზრდები  
 მულის ნამობი თუთრი ღვეკვი!





„ივერიაში“ ამას წინათ მოხსენებული იყო, რომ ვორში არსებობს შარშანწინდელს აქეთ სოსტატო სემინარია, ესე იგი იმისთანა სასწავლებელი, რომელმაც უნდა მოაშხადოს ოსტატები, მასწავლებელნი ჩვენი სახალხო სასწავლებელთათვის. რასაკვირველია, თქვენ იფიქრებთ, რომ აქ ქართულ ენას პირველი ადგილი უჭირება სხვათა შორის. მაგრამ ვე ვერე არ არის. სემინარიის გულისხმიერს გამგეობას გადაუწყვეტია, რომ ქართველთა ბავშვების ოსტატს ქართულის ცოდნა გულს აუსუკუბსო. ამის გამო ამ სემინარიაში ქართულს ენას არ ასწავლიან, ასე რომ ქართულის სახსენებელიც გაუქრიათ. როგორ მოეწონთ? შუაგულს ქართლში მოაფრობამ სემინარია გახსნა, ძერე იმისათვის, რომ ქართულის სოფლის ბავშვებისათვის ოსტატები გამოსწურთნოს და მისინც კიდევ ქართულს არ ასწავლიან. ვიცინით ამავდ თუ ვიტყვით?



ილია ჭავჭავაძე კითხილთ თუ ეპიკრომ?

მატყარი ბიორაბი როინიშვილი




# „დედა ენა“

ბიორაბი ლეონიძე

ეენი წივნი, ჩვენი დედა,  
ჩვენი ენა ქართული,  
ვარდნაბაძი ფურცელი,  
ჩვენს ერძობაში ჩართული!  
დედის ტუმუ მერე,  
სივარული ზირველი,  
ჩვენს აკვანს შემომჯდარი  
მგაღობელი ფრინველი,  
იუნანის ნიაჟში  
ჩვენს ეურთან რომ გაისმა,

ერძობა რომ გვისურნელა,  
როგორც ბაღში მისმა.  
ტებილად რომ გავციხარა  
ჩვენ ბავშვობა ბენავი —  
შავი კაბით ვასრდილუბს,  
გასუნებულ ლენაქით.  
ჩვენი წივნი, ჩვენი დედა,  
ჩვენი ენა ქართული,  
ოქროსსმიან სიმებად  
ვულში ამოხლართული!





## მოგონება

ვაჟა-ფშაველა

(ნაწილები)

...გადავურჩი ბერძნულის მასწავლებელს... ჭერ ქართული ანბანი არ ვიცოდი

და ის კი მოგვიყვა ბერძნულს ენა. ნეტავ თითონ მაინც სცოდნოდა თავის, საკანკი, ისიც მაშინ სწავლობდა. შავშავსკი, ხმელთა კაცი იყო; დაგვადგებოდა თავზე და „გვაწუბრინებდა“: „ალფა, ბეტა, ლამა, დელტა“. ისე ამოიძახებდა ამ ხმებს, თითქოს სამარადამ მკვდარმა ამოიძახაო. მთელი ერთი თვე გვაწუბრებინებდა ერთს ბერძნულს ფრაზას და, ღმერთმა იცის, ნამდვილად ისრეა ბერძნულად, თუ სხვანაირად იგი ფრაზა! დადგებოდა, ჭერ თითონ დაიწყებდა და მერე ჩვენ გაგვაპეორებინებდა ხოლმე: „დივის დიკინ ტიკ-ტიკიტინ, კე ბლავის ბლავინ ბლავიო“, ვითომ სიმართლე ჰბადებს სიმართლეს და უსამართლობა უსამართლობასაო. მეორე მასწავლებელს რალა დამავიწყებდა. ამას დავითი ერქვა სახელად და გვარად ეკალაძე იყო. თავის დანიშნულებად ის მიაჩნდა ამ კაცს, რომ რაც შეიძლებოდა შევევინებინეთ...

ღმერთო, რა ამბავი იყო, როცა ის გავჯვრდებოდა: თვალები დაეისხსლებოდა, მოავლებდა შეგირდს თმაში ხელს და გაისვრიდა, საითაც მოხვდებოდა. ერთი მუჟა ბალანი ხელში უნდა დარჩომოდა და მერე შეებერვით აქეთ-იქით გააბნევდა. უნდა მოგახსენოთ, რომ როზგი მაშინ ახლად გადავარდნილი იყო დავით ეკალაძის სავალალოდ და სამწუხაროდ, მაგრამ ჩუმ-ჩუმად ეკალაძე ამოქმედებდა მაინც როზგს. შენახული ჰქონდა სახლში და საჭიროების დროს მოიკითხავდა. „თქვე მ-ლებო, იქნება იმას ჰფიქრობთ, როზგი გადავარდაო, ვერ მოგართვესთ, — აბა, ერთი წამოაქციეთ!“ — ეტყოდა ჩურჩულით გულდამშეული უფროსს შეგირდებს, რომელნიც სწრაფად გაჰბაწრავენ ერთ-ერთს ამ არწივის მსხვერპლს და წამოაქცევდნენ. „აბა ერთი რიგიანად მოახვედრეთ მაგას ორმოციოდე როზგი“. ბევრსა ჰყვიროდა საწყული ბავშვი: — ვაი, დედავ, მოგიკვდიო, — მაგრამ ამოდ. არწივი ეკალაძე დასძა-



ხებდა: — „მოკვდი, მოკვდი, მოკვდი, ს-სინ! მაგრა დაკათ, მაგრა, მაგ მ-ს!“ ვაი იმ შეგირდ-ჭალათის ბრალი, რომელიც გულჩვილობას გამოიჩინდა და ვერ დაჰკრავდა გამეტებით; ახლა იმას გააძაგვრინებდა იატაკზე.

მე ბუხარში ვიჭექი და იქილამ ვუცქე-როდი ამ საშინელებას. დიად, ბუხარი იყო ჩემი სკამი მთელი ორი წელი, რადგან ადგილი აღარ იყო შეგირდისათვის, და ერთ-თავად ნაცარში ამოგანგლული დავდიო-დი. რა ღმერთი გამიწურებოდა, დამეშავე-

ბინა რამე ამ სურათების მნახველს, ეკლამქეს ბრაზი მოუფიქროდა ხოლმე, რომ წა-ბუთს არაფერს ვაძლევდი გაროზგვისას, მომიშარებდა რასმე და დამკივლებდა: — „მ-ის სულს აგითირებ, ფშველო,“ — და გამისომდა ბჭლალს ქოჩორზე, თითქოს ქორმა ქათამს გაჰკრა ბჭლალიო, და გადის-ვრიდა ბურტყლებს დაბლა. ვაკვეთილე-ბის გათავების შემდეგ რომ ჰქვიანი კაცი გამოჩენილიყო და ჩვენს კლასში მოსული-ყო, ერთის ჯამბარის საკმაო ბურტყლს აჰკრეფავდა...



მატვარი თამაზ ხუციშვილი




მურმან ჯგუზური

## ყველას მისი საქმე მისცა

ყველას მისი საქმე მისცა, საქმე ვინც ვაჩინა: აგურ, გოჭი ჩიჩქნის მიწას, სტაუილოს ჭამს ბაჭია. ჭიანჭველას მიაქვს ხარბო, ინდაური დიდგულობს, ციცქნა ვიო ზის და ამ დროს „ღუღა ენას“ კითხულობს.



# გოსკი\* გვესა



უბორონი - ბიი დაუბუნი

## პირველი საქართველო (978 წლის წინათ)


975 წლიდან დაიწყო ქუჩაყაღატის შვილობილი ხაზრატის მმართველობა. რად იზრდების საქართველოს ბაგირიანებისათვის. მან აღბ-  
მა უჩირო ფარულად, ფარულირ-  
თა ფარულად-არჩეადი, სამსხ-  
-სადახადი და ახადი-ჰირადი  
სამადი.

საქართველოს ბაგირიანება-  
-ბაგირიანებას ვერ უჩირდებულ-  
დენ ბაგირად მტრადი.

დღემ მფუფ, მანამს უბიხა ფადლმეა პახე-  
-პახეთს ხედავ იწყე.



სადსაფრე ფუხადი დაფადი!




სომეხთა მფუფ მადიბს ფუფთაფარეთ ფითრ-  
-ლივი დაფადი, და ფუფადი დაინახოს მადი-  
-მადი.




სომეხთა მფუფ მადიანი ფრადსადლადი  
-დღემ მფუფ!



ანი ფადლმის მადი.






შეგპრის უფა შეგპრვაიხუთ,  
ამოიან უაღრმონი ზავს ითხოვნს.



ყვანენაუტოტოკან ზავდელიანი შეშენ,  
საჩანას ყოველდროუხარ ვოგანიტენვ...



ოუი, გვენსა, ვითონი ვაითველი ხარის ჩამოყა-  
ლიტვიონი შეშენი იყო სემოხან ენ ქოთიანე - XI სე-  
კუნდის ენგელგონენ მდომონ „საჰაიტიტონი“ ენგეპონ-  
ხეა, იან ვაითველითა ვიჩა-ყვანს, სანაშოგროს ულ-  
ნიშანავენ.



გაგაიბონ ქოთსა, 1010 წელს  
იქყო ხუროთმოძღვრება  
აისუბონსეა სავაბოყმოვროს  
ქვაიონ განახლება.

ან ეპოვებოთ ქვაიონ  
ნანგაგებვას აი, ვე-  
თინთოთი იოგ გეგა-  
ხეოგ, ხარხი  
ღვინან განგაიბონ  
ქვაიონ უნოვებს.

## საბავშვო წიგნების წიგნი

საბავშვო წიგნი

საბავშვო წიგნი. საბავშვო  
წიგნი. საბავშვო წიგნი.  
საბავშვო წიგნი.

აკაკის მამა როსტომი წყურთელი მადლი ტანის კაცია, ტანზე წიხა და ფეხზე წითელი ფლოსტები აცვია. თუ აივანზე ტახტზე არა წევს, ძირს ჩადის ხოლმე, კაკლის ძირში ერთ ბრტყულ ქვაზე წიგნს დაიდებს და კითხულობს.

როსტომს თურმე მონასტერში უსწავლია. აკაკი რომ გიმნაზიაში თავს ისახელებს, როსტომი დაიტრაბახებს, კვიცი გვარზე ხტის, ჩემი შვილი მე შგავს, პეტრე არქიმანდრიტს (მონასტრის წინამძღვარს) რომ ვებარე, ყველას ვჯობდი, რასაც სხვები ათ-ათ წელიწადს უნდებოდნენ, მე ორ-სამ წელიწადში გავიარეო.

როსტომს კარგი ჭამისმა უყვარს, გულკეთილია

და სულ იმას გაიძახის: „არიოკა, შშიერი არავინ დარჩეს სახლში, დიდსა და პატარას, ყველას, სამყოფად აჭამეთო“, მაგრამ გულის მოსვლაც უცებ იცის, გულფიცხია. ზოგჯერ კი სისასტიკესაც ამჟღავნებს.

ერთხელ ოჯახში მართოდ დარჩენილი ოთხმოცდაათი წლის გლეხის სასახლეში გამოყვანას მონადომებს. მოხუცს არ უნდა თავის ქოხში ცეცხლი გააქროს და როსტომი მის ძალით წამოყვანას ბრძანებს. პატარა აკაკი რომ შეიტყობს ამას, მამასთან მივა და შეეკითხება: „ჩვენნი მურა რომ დაბერდეს, აღარც დეფა შეეძლოს და აღარც ერენა, მაშინ რა ვუყოთ?“ „თუ მაგრე დაბერდება, მჭადს აჭმევვენ და იქნება თავისთვის, სანამ არ მოკვდებაო“, ეტყვის მამა. „მაშ, თუ მაგრე, კაცი ძალზე უკეთესი არ

არის? ბერიკაცს რომ თავის სახლს აშორებ და გამოგყავს, ის არ გეცოდებაო? როსტომი დაფიქრდება და იტყვის: „თავი დაანებეთ მი ბერიკაცს, თავის სახლში დარჩეს და სასრლოც მიუჩინეთ“. მერე როსტომი ხშირად ამბობს: ჩემი დაუფიქრებლობით კინაღამ ცოლავში ჩავდექი, მაგრამ ბავშვმა მიხსნაო.

როსტომი განთქმული მოჭადრაკეა. ვერავინ ვერ უგებს. ერთხელ გენერალ-გუბერნატორი გიორგი ერისთავი თბილისიდან შემოუთვლის: „ერთი შესანიშნავი მოჭადრაკე პოლკოვნიკი გეწვია, თუ ღრო გაქვს, მიდი, ჩემთან არის, აბა, შენ იცი, ქართველებს თუ შენებურად გვახახელებო!“ პოლკოვნიკი ამჩნევს, რომ როსტომი ჭადრაკს თავისებურად თამაშობს და ეუბნება, „გეტყობათ, თეორია არ უნდა იცოდეთ, კუთხის პიკი რა ხელმოსაკიდებელი იყოო?“ როსტომი კითხვას შეუბრუნებს: „თეორია რა არისო?“ პოლკოვნიკი უპასუხებს: „სხვადასხვა სათამაშო კანონებიაო“. როსტომი ეტყვის: „ჩვენ, ქართველებმა, ერთი კანონის პეტი არ ვიცით: მოპირდაპირეს ისე უნდა ეთამაშო, რომ მოუგოო“.

აკაკის დედა, ეკატერინე, მაძლის ყვილზე რომ წამოდგება, დადამებამდე ფეხზე დგას და უსაქმოდ კაცი ვერ დაინახავს. მოსამსახურებს მუდამ თვალს ადევ-





ნებს, ყველას რაღაცას ას-  
წავლის და ზოგს წიგნსაც  
ავითხებს. აკაკის დედას მე-  
ტისმეტად ჩვილი გული  
აქვს. სასახლეში რომ ვინმე  
ავად გახდება, გინდა უკა-  
ნასქნელი მოახლევ იოს,  
ისე უვლის, როგორც  
შვილს. საღმე მძიმე ავად-  
მყოფი, რომ გაივებს,  
ჯორზე შეჯდება, ავადმყოფ-  
თან წავა და უწამლებს.

როსტომმა იცის თავისი  
ცოლის უფი და მისი ნება-  
სურვილის დიდი პატივის-  
მცემელია.

სასახლეში გადმოყვა-  
ნილი აკაკი პირველ ხანებში  
მოიწვენს. დედა შუამწნევს,  
პატარა ბიჭებს მოუჩენს და  
თავს მიანებებს. აკაკი ხან  
სამოსახლოშია, სახაბახო-  
ში, ხან — სამხარეულოში,  
ხან — საქალბოში, ხან სა-  
ჯინობოში შეიხვდება, ხან —  
სათხებოში, ხან — ხალორე-  
ში, ხან — საქათმეში. უფრო  
ხშირად ამხანაგებთან ერ-  
თად მინდროში დარბის...

პატარა აკაკისთვის დღე  
ასე იწყება:

დილაადრიან გულის-  
ძილში გადაიას სიტყვები  
ჩაქმის:

— არიქა! მზე პირს იბანს  
და აბა, აკაკი, შეუშვირე თა-  
ვი, რომ თქვოს ხუჭუჭი მო-  
გივიდესო!

აკაკი თვალებს გააჭკვეტს  
და დაინახავს, რომ მართლა  
კარგი შხაპუნა წვიმა მოსუ-  
ლა. ზეზე წამოვარდება,  
ღარს თავს შეუშვებს და  
წვიმის წველით თავპირს  
დაიბანს. გვლით პირსახოც-  
სავარცხელს მოიტანს, ტანთ  
ჩააცმევს და ეტყვის:

— ახლა, შვილო, შენ კი  
ქნაცვალის შენი გალია,

ისაუხმე, რომ ჩიტმა არ გა-  
ჯობოს და შენ დაასწრო!  
გალია სამხარეულოსა-  
კენ ვაეშურება და თან წაი-  
ყოლებს პატარა ამბაკოს —  
აკაკის ძიძიშვილსა და აკა-  
კის საკუთარ მხახურს. ამ-  
ბაკო და აკაკი მდიანად  
მოუღებენ და მერე გარეთ  
გაცვივდებიან.

აკაკი ჯერ ინლაურებს  
ჩამორბენს და დაუსტვენს,  
მერე თიკებთან ერთად იხ-  
ტუნავებს, მერე გოჭებს შექ-  
ყურებს, ერთმანეთს რომ  
ვკიდებებიან, და ძიძიშვილს  
დავუკვდილებო, გაიფიქრებს.  
მაგრამ ამბაკო თურმე ხეზე  
აპარულა. აკაკიც ხეზე აცო-  
ცდება. იქ თოხიბარას ბუ-  
ღუს ნახავენ, ბულიანად  
ძირს ჩამოიდებენ და ბარც-  
ყებს გალიაში დაამწყვდე-  
ვენ. დედა, რომელიც დი-  
ლიდან დაღამებამდე უფსუე  
დგას, საღამოს სახლში შე-  
მობრუნდება და ამ დროს  
ბავშვებსაც დაუძახებენ. აკა-  
კის დედას ჩუქულებად აქვს:  
სადამოებით შეიღებს ხდა-

პრებს უყვება. აკაკი იმ სა-  
დამოსაც თავს კალთაში  
ჩაუდებს და ყურის დასაგ-  
დებდ მოეშალება. დედა  
ამჯერად „ძალთაპირების  
ამბავს“ მოუყვება... იმ დ-  
ვილამდის რომ მივა, საღაც  
კაციჭამია ძალთაპირები  
დატყვევებულ დედა-შვი-  
ლებს აწვალებენ, ისეთ სა-  
ეთო და გულსაკლავ სიტ-  
ყვას ჩაურთავს, რომ აკაკის  
გული ამოუჯდება და ბტირ-  
დება.

— დედა! სად არიან ის  
ძალთაპირები, შორს არი-  
ან? — ეკითხება დედას  
ათრთოლებული ხმით.

— ყველგან არიან! —  
უბახუბებს დედა, — მთელი  
ქვეყანა ძალთაპირებით  
სავსეა! შენც პატარა ძალ-  
თაპირი ხარ!... აი, მაგალი-  
თად: რას გიშვებდნენ შენ  
ის პატარა ჩიტები? არა  
გშია, არა ვწყურია, სათამა-  
შობებიც ბევრი გაქვს და მამ  
რადას ერჩიდი იმ საწყ-  
ლებს?.. ყოფილიყვნენ ისი-  
ნიც თავის დედასთან...



აკაკი დედას ყელზე ხელს შემოხვევს და გულში ჩაეხუტება... გული უფროხი- ალებს და დედას მისი გუ- ლის ბაგა — ბუფი ესმის...

მკაცრ ზამთარში, როცა შავი უკუნი სხვიტორის სა- სახლის ფანჯრებში საზარ- ლად იხედება და ქარიშხა- ლიც გარეთ ისე გულსაკლავ- ვად ზუის, თითქოს სიცოფი- სავან ატანილი თბილ ოთა- ხში შემოშვებას იხეწებო, გამხიარულებული ბუხრის წინ, თვლის ტყავზე რბილად და თბილად ხის პატარა აკა- კი და სულგანაბული ყურს უგდებს გადიას.

გადია კი მოუთხრობს ხან გოგია მქონეურის ამ- ბავს, რომელმაც დამოქრე- ლი სამშობლო უნდა იხს- ნას, ხან — დამურას ამბავს.

გადიას მონაყოლ ამბებს აკაკი, უკვე სახელოვანი მწე- რალი, ქართველი ბავშვები- სათვის ქაღალდზე გადაი- ტანს...

ბაბჰის ანა წმარა —  
ბიოხვას ასწავლის.  
„მოწრაპო“

აკაკის დიდი სურვილი აქვს თავის და-მშობივით წე- რა-კითხვა იცოდეს. მაგრამ დედა ეტყვის: ჯერ ადრეა, რომ დატკვიანდები, მერე გასწავლით. აკაკი უფროს დას — ანას ეხეკება, კითხვა მასწავლეთ. ანა ჩუმად დაწე- ყვებიებს კითხვას, დედამ არ უნდა გამოეგოს; სულ მოკლე ხანში აკაკი ანბანსაც ისწავ- ლის და რუსულ ამოსადებ- შიც თვალს გაიტყეს. ამოსა- დები დამარცვლული სიტყ- ვების ცხრილია. ანა დამ- პირდება, თუ ასე კარგად ის- წავლი, სამოციქულოსაც დაგასწავლი და საყდარში

წაგაკითხებო, დედას მა- ლიან გაუკვირდება და მო- გიწონებსო. წახალისებული ბავშვი დედადამ სწავლა- ზედა ფიქრობს. რა იცის, თუ ეს სულ დედამისის ხერხია, რომ ბავშვმა წერა-კითხვა შეიყვაროს.

აკაკის დედამ სასჯელიც უცნაური იცის. ბავშვი თუ დამაშვებს რამეს, წიგნის კითხვის ნებას არ აძლევს. იმ ბავშვს სასახლეში ბიჭე- ბი და გოგონები დასციინან: „უწიგნოდ დარჩი, უწიგნოდ დარჩიო!“ და ყველანი მტკივნეულად განიცდიან ამ ამბავს.

აკაკი მოკლე ხანში ზედ- მიწვევით დაუფლება ხუ- ცურს, ანუ ძველ ქართულ



მხატვარი ელზარ ამოკაძე

დაწერლობას, თავისი წიგნის მხედრულად დღევანდელ ქართველ წერლობას, და ანბანის წე- რას დაწევებს ხარის ბეჭე- ტომცვლად ხაწური დაფის ნაცვლად ხმარობენ. აკაკის სხვა საფიქრალიც გაუხსნე- ბა — „ვეფხისტყაოსნის“ კითხვა გაიტაცებს. მერე 1846 წელს პეტერბურგში ჩუბინაშვილის გამოცემული ქართული ლიტერატურის ქრესტიმითიას ვადაიკით- ხავს. მერე კი ქართლიდან ჩამოსული სტუმრები ამბავს ჩამოიტანენ: „გლუხარის“ (გიორგი ერისთავს) კომე- დია დაუწერია და თბილის- ში უთამაშიათო. (იგულის- ხებუა კომედია „ვაჟრა“, რომლის დადგენილიც ადრეა ქართული თეატრი). ათი წლის აკაკი სულგანაბული ყურს უგდებს სტუმრებს და მეთორე თუ მესამე დღეს თეი- თონაც დაწერს ბატონმო- ბის ამბავს, დაწერს, თუ რო- გორ აწვადებს ხალხს მათი მოურავი, როგორ აბეღდებს მათ ბატონთან — აკაკის მა- მასთან. აკაკის ნაწერი ჯე- ლას მოეწონება, მოურავს კი გული მოუვა: „ჩემი დამცი- რება არავფრია, მაგრამ ვნა- ხავ, თუ ამ ემწავილმა მთელი ქვეყანა არ გადაიმტკროს, და ნუ აქეშებთო.“

მერე უკვე სწავლადამ- თავრებული, რუსეთიდან დაბრუნებული აკაკი დედა- მისის მიერ შენახულ ამ პიე- სას დახვეს და ცეცხლში ჩაყრის.

1850 წლის მიწურულს აკაკი ქუთაისის გიმნაზია- ში შეიყვანენ და პირველ მო- საზმადებელ კლასში დასე- მენ.

## მს ქალაქი ვისია

ნაზი თარგამაძე

ვთამაშობდით ბავშვები:  
მზია, მე და ცისია,  
გავძსოდით ერთმანეთს:  
„ეს ქალაქი ვისია?“  
„ეს თბილისი ვისია?“ —  
უცებ სჭექა მზიამ,  
ვუწასუსეთ: „მთლიანად  
საქართველოსია!“  
„საქართველო ვისია?“ —  
სმას უმატა ცისიამ, —  
„ვინც კი მისი ღირსია,  
საქართველო მისია!  
ვისია და შენია,  
ვისია და ჩემია,  
ვისია და ჩვენია,  
ვისაც თავს კვირჩვენია.  
საქართველო დედაა,  
ჩვენი, განა სხვისია!“  
„ჩვენი დედა ვისია?“  
„ჩემ და ჩემი მძისია!“





## ვეფე მნივნობარი

მომთა ბაღრიძე

დავით აღმაშენებელი ერთ-ერთი ვეფელაზე განათლებული მეფე იყო ქართველ მეფეთა შორის.

მას ბავშვობიდანვე შეუსწავლია უცხოური ენები. კარგად სცოდნია არაბული და სპარსული; ბევრი რამ ჰქონდა წაკითხული ფილოსოფიაში, ისტორიაში, ღვთისმეტყველებაში...

წაკითხვის შემდეგ წიგნის ბოლო გვერდზე: ჯვარს დასვამდა ხოლმე, ნიშნად იმისა, ამ წიგნის კითხვას მოვრჩიო. ერთხელ უნახავთ, რომ დავითს ერთ წიგნზე ოცდაათხჯერ დაესვა: ჯვარი, ე.ი. მას ეს წიგნი ოცდაათხჯერ ჰკავებია ხელთ. დავითს წიგნების კითხვა არც იმის შემდეგ მოუტოვებია, რაც 16 წლისა საქართველოს მეფე გახდა და სახელმწიფოს მართვასა და ომებს დიდ დროსა და ენერჯიას ანდომებდა.

დრო რომ დაეწოგა და წიგნებიც მუდამ ახლოს ჰქონდა, დავითს მოუწყვეს გადასა-

ტან-გადმოსატანი ბიბლიოთეკა. ამ ბიბლიოთეკას მგზავრობისა თუ ლაშქრობათა დროს ცხენებით და ურმებით უკან მიადგენდნენ ხოლმე მეფეს. მეფეც, როგორც კი თავისუფალ დროს მოძებნიდა, წიგნების კითხვას შეუდგებოდა. ხშირად, თვალეტი რომ დაედლებოდა, მეფეს სხვები უკითხავდნენ. თუ რომელიმე ადგილი მოეწონებოდა, წამკითხველს შეაჩერებდა და წაკითხულის ირგვლივ მხაჯელობას მართავდა.



## ჩვენ კვლავ მოვედით

ლალო ასათიანი

ჩვენ კვლავ მოვედით, მტკიცე თაობა, ასე მწუობრი და ასე უღვევი... მოგვაქვს რწმენა და გამბედაობა, მოვდივართ რივი ასეულების.

ჩვენ კვლავ მოვედით და გვიხარია... კვლავ მხნედ შევღვთ სკოლის კარები... გულში შეტკვის მღვვი ქარია და სიხარულის ნიაღვარები.



ერთხელ, ლაშქრობისას, დავითს მეგრძოლები გაუგზავნია თურქების წინააღმდეგ, თვითონ კი, ცხენზე მჯდომს, წიგნი აუღია და კითხვა დაუწვია. ეტყობა მეტად საინტერესო საკითხავი იყო ის წიგნი, მეფე ისე გართულა, ვეღარ შეუმჩნევია, როგორ ახლოს მისულან მასთან თურქი მოლაშქრენი. ისინი ყოყინით მიიწვედნენ მისკენ, მაგრამ მეფე უცებ გამორკვეულა, ხმალი უშიშვლებია და მტერს სძგერება. გამარჯვება დავითს დარჩენია.

დავითი იყო ბრწყინვალე პოეტიც. შემორჩენილია მისი «გალობანი სინანულისანი». შეუძლებელია აუღელვებლად წააკითხოთ ეს ლექსები...



მეფე გამუდმებით ფიქრობდა მშრომელი ხალხის სიკეთეზე; ჩემი საქართველო თავისუფალი და ძლიერი ვერ იქნება, თუ მასწავლებელი და განათლებული ხალხი არ ვყოფილებათ. ამიტომ 40 ნიჭიერი ყმაწვილი შეკრიბა და სასწავლებლად ბიზანტიაში გააგზავნა. იქ ჩასულმა ქართველებმა ბრწყინვალე განათლება მიიღეს, მერე საქართველოში დაბრუნდნენ და დიდი თავგანწირვით პეფენდნენ ცოდნას თავიანთ სამშობლოს.

დავითმა ქუთაისთან ახლოს, გელათში, მონასტერი ააგებინა. მეფის ბრძანებითა და პირადი ღვაწლით გელათში დააარსეს სამეცნიერო აკადემია. მას განაგებდა მოძღვართ-მოძღვარი, ე.ი. რექტორი.

გელათში მოღვაწეობდნენ დიდი ქართველი ფილოსოფოსები იოანე პეტრიძე და არსენ ივალთოელი.

გელათის აკადემიას დიდი სახელი ჰქონდა. მას, თურმე, კონსტანტინოპოლის განთქმულ აკადემიას ადარებდნენ.

გელათშივე «განაჩინა» დავითმა ქართველ მეფეთა სასაფლაო, ანუ, საძვალე. დავითიც, ყველაზე დიდი მეფე ქართველთა, აქ დაიმარხა, მონასტრის შესასვლელში, — დაე, მე, ცოდვილს, ყველა აქ მომსვლელმა გულზე დამადგას ფეხით. ასეთი ყოფილა ქრისტიანი მეფის თავმდაბალი ანდერძი.

## ყორალი

სირა ჭიბიაშვილი

თურმე რა მოხდა,  
რა მოხდა!

ყოჩაღი გოგო წამოხტა,  
ვიდრე მშემ სხივი ამოჰყო,  
სათმა დაიწკრილა,  
სახლშიც მოასწრო საქმე და  
კლასშიც არ დაიკვიანა.



მატყარი

ელზარდ ამოკაპაძე

საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. საბ. რესპუბ.  
ბიბლიოთეკა



## ყველა არ

## არის არამზადა

სკოლის ეზოში რომ მასწავლებლებს და აუციფიფეულ ბავშვებს დაეინახავ, თითქმის ყოველთვის პოლონელი მწერალი, ბავშვთა ექიმი და მასწავლებელი იანუშ კორჩაკი მახსენდება.

კორჩაკის ნამდვილი სახელი და გვარი პენრიკ პოლდშიდტი იყო. დაიბადა ვარშავაში, 1878 წელს, ებრაელის ოჯახში. 1904 წელს დაამთავრა ვარშავის სამედიცინო ინსტიტუტი, 1904 წელს გაიწვიეს ვარში, შორეულ აღმოსავლეთში. ამ დროს იქ რუსეთ-იაპონიის ომი იყო განაღებული. აქ შეხვდა კორჩაკი 1905 წლის რევოლუციასაც. იგი გამოდის მიტინგებზე და ამბობს, არ შეიძლება რევოლუციის მიხედნა, თუ ბავშვებზედაც არ ვიფიქრეთო.

ჯარიდან დაბრუნებული კორჩაკი მუშაობს ბავშვთა ექიმად საავადმყოფოში.

1911 წელს მან მიღიარა შემოწირულებებით დააარსა „ობოლია სახლი“. კორჩაკი აქ ექიმიც იყო, მასწავლებელიც და პატარების უახლოესი მეგობარიც. ის სულ იმას ცდილობდა, უბედური ბავშვებისათვის დაებრუნებინა დაკარგული დიმილი, გაეთბო მათი გაცოცხლებული გულები, ჩაენერგა სიყვარული — ცოდნისა, სიკეთისა, შრომისა. ბავშვებთან ერთად თამაშობდა, მღეროდა, იგონებდა ათასნაირ ვასარ-თობს.

წერდა წიგნებსაც. მისი წიგნებიდან მსოფლიოში ცნობილია: „ქუჩის ბავშვები“, „როგორ

უნდა გიყვარდეს ბავშვები“, „მეფე მარტო უნდა ვეღვი“, „როცა კვლავ პატარა გახდები“, და სხვა. ჩამთვლილთა შორის ბოლო ორე წიგნს მხოლოდ თულადაც არის თარგმნილი.

1939 წელს მორე მსოფლიო ომი დაიწყო. პოლონეთი გერმანიამ დაიპყრო. 1942 წელს გერმანელებმა განკარგულება გასცეს „ობოლია სახლი“ ვარშავიდან გაეტანათ. სახლს გარს შემოერტყნენ ჯარისკაცები. კორჩაკი ანუგეშებდა ბავშვებს, სოფელში მივიღივართო. ბავშვებს ახარებდა კიდევ ეს გამზავრება. გამოვიდნენ გარეთ, ორ მწკრივად მოეწვენ. გერმანელები კორჩაკთან მივიდნენ და განუცხადეს: — ექიმ პოლდშიდტს, როგორც სახელმწიფო მოსამსახურეს, შეუძლია დარჩეს!

კორჩაკმა მიუგო:

— მარტო თქვენ ვერ გაგატანთ ჩემს ბავშვებს. მეც მათთან უნდა ვიყო, — და ბავშვებთან ერთად გააბიჯა ქუჩაში.

სადგურში საგანგებო მატარებელი იცლიდა, ამ მატარებელს ბავშვები ფაშისტურ ბანაკ ტრეზბლინკეში უნდა წაეყვანა. მატარებლის კომუნდანტმა იცნო კორჩაკი, — მე თქვენს წიგნებს ვკითხულობდი ხოლმე და ძალიან მომწონდა, თქვენ შეგიძლიათ დარჩეთ.

— ბავშვები? — იკითხა კორჩაკმა.

— ბავშვები წავლენ.

— ცდებით. ყველა არ არის არამზადა, — მიუგო კორჩაკმა და ბავშვებს ტრეზბლინკეშიც გაჰყვდა ბავშვებთან ერთად დაწვეს გახის კამერაში. მისმა სულ ბოლო სიტყვებმა კი, — ყველა არ არის არამზადა — შეიღო მისინდელი მსოფლიო მითარა.



მზატვარი პასო ხილაშვილი





# ვინ გაიძაჩხვა შუღნიღში?!

1 2 3 4 ქულა ვართ კვირი სსპოვს

"ეკსნალი" 1

"სკოპნელი" 2

"ლილა" 3

"ლუკუჯი" 4

		1:1		3	3:2
1:1		1:0			
0:1				4	
				1	0:5

ფეხბურთელთა ტურნირში ოთხი გუნდი მონაწილეობდა. ამ შეჯიბრების ამსახველი ცხრილი ჩვენ საგანგებოდ არ შეეგავსეთ ბოლომდე, რადგან ცხრილში შეტანილი მონაცემებიც სახსებით საკმარისია, რათა ბავშვებმა თვითონ აღადგინონ ეს ცხრილი. ამისათვის უნდა ამოიცნოთ, როგორ ითამაშეს გუნდებმა ერთმანეთთან, რამდენი ქულა დააგროვა თითოეულმა გუნდმა, როგორია გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობა.

აღდგენილი ცხრილი საშუალებას მოგცემთ დაასახელოთ გამარჯვებული გუნდი.



საპრობლეზ ალკი მკ-ისა ღბ 3. 0. ლმეობის სახელოზობის კიოენკობა ორბანეზობის რესპუბლიკური სახელოს ქურნალი უმცროსკლასკლეთისა-30ს.

გამობის 1904 წლიდან. საქ. კ. ცკ-ის გამომცემლობა.

მოგვარი რედაქტორი რამეზა 06360330ლო

სარედაქციო კოლეჯია: მუშარდ ამბოკაძე, მანანა ამბოძა, ლავარა ბაბუხ, სოსო პოპიბერიძე, მერი ლაპიბერიძე, სოლომონ ლეჟორსანაშვილი, ლილია პრადი, ანელა ლონაპრიძე, მანანა მკაძე, მკაძე, ზურაბ ნაღობაძე, თინათინ ნაღობაძე (პ/შე მდებარე), ვიკი მუხომბი, ვიკი მანანაძე.

სამხატვრო რედაქტორი ვიორა ბოინიშვილი

ტექნიკური რედაქტორი ანელი მანანაძე

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლენინის 14. ტელ: მთ. რედაქტორის 93-41-30, 93-98-16; პ/შე მდებარე 93-10-32, 93-98-18; ხაზი რედაქტორის 93-98-18; განყოფილება 93-98-19.

გადავიტა ასაქობად 27.06.89 წ., ხელმოწერილია დასაკლად 25.08.89 წ., ქაღალდის ზომა 60x90/8, ფის. ნაბ. ფურც 2,5. ტირაჟი 168.000, შეკეოვა № 1581

ელაჟ ნახატი ბმეო ხოლაშვილისა

«Дила» («Утро») — Ежемесячный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Ленина, для младшеклассников, на грузинском языке. Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии. Главный редактор Реваз Ианишвили (тел. 93-41-30). Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси ул. Ленина, 14. Объем 2,5 печатных листа, тираж 168.000. Заказ № 1581

საბავშვო  
გაზეთი

